საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს უფლება აქვს მოგვთხოვოს სამედიცინო შემონების გავლა თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გადამდები დაავადების მატარებლები ვართ და შეიძლება საფრთხეს ვუქმნიდეთ საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. კანონის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული პროცედურები განხორციელდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემით.

„განვითარებად ქვეყნებში პანდემიის პირობებში კიდევ უფრო თვალმისაცემი გახდა სოციალური უთანასწორობა, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის პრობლემა, შრომითი უფლებების დარღვევა და სოციალურად დაუცველობის საკი-

თხი“, - აცხადებდა მიშელ ბარჩელტი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. EMC-ს სოციალური პროგრამის დირექტორი კომტი ერის-თაშვილი კი აქტიურად საუბრობდა საუბრობდა დასაქმებულების უფლებების დარღვევაზე პანდემიის დროს. „სამსახურად, მასიური ხასიათი აქვს შრომის კოდექსის და შრომითი უფლებების დარღვევას. ეს ხდება რამდენიმე მიმართულებით: ხელშეკრულების მასიური შეწყვეტა; დასაქმებულების იძულებით გაშვება უხელფასო შევულებამში; ხელფასის დაქვითვა ან მისი არ გადახდა დასაქმებულისთვის; თვითიზოლაციიდან ადამიანების იძულებით გამოყვანა სამუშაო ადგილას“.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი მხოლოდ ერთია. პანდემიამ არამარტო შრომითი ბაზარი დააზარალა, არამედ ის ადამიანებიც, რომლებიც ამ ბაზარს თავად ქმნიან. კარანტინი, იზოლაცია, საგანგებო მდგომარეობა - ეს ის სამი სიტყვაა, რომელიც ამ შრომით ბაზარს მოულოდნელ კრიზისად დაატყდა თავს. ექსპერტები კი მის მოკლე დროში დასრულებას ჯერ ვერ ვარაუდობენ.

მომზადდა
შუშუნა ხანჩაშვილმა

„ჩვენ მეტი თანასწორობა გვჭირდება“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც პანდემიის ფონზე უკვე გაკეთდა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მეტი თანასწორობა გვჭირდება, - ამის შესახებ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ლუნია მიატოვიჩმა ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა.

როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა აღნიშნა, პანდემიამ არა მხოლოდ

სისუსტეები გამოააშკარავა ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში, არამედ გამოავლინა მისი ყველაზე ფასეული ძალაც. „ერთერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც პანდემიის ფონზე უკვე გაკეთდა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მეტი თანასწორობა გვჭირდება. პანდემიამ არა მხოლოდ სისუსტეები გამოააშკარავა ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში, არამედ გამოავლინა მისი ყველაზე ფასეული ძალაც. მოქალაქეთა

ინტერესები და ცნობიერება ადამიანის უფლებების შესახებ გაიზარდა, როდესაც ყველამ საკუთარ თავზე გამოსცადა თავისუფლების შეზღუდვა. პანდემიას ექნება მნიშვნელოვანი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები. მათ შორის, მოიაზრება ეკონომიკური კრიზისი და მისი სოციალური საპასუხო ფაქტორები, რომლებიც ისე უნდა მოგვარდეს, რომ არ გადაიღვოს არსებული კრიზისის ისედაც უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებებზე. მასარებს, რომ დღევანდელი განხილვის მნიშვნელოვანი ნაწილი აქცენტირებული იქნება ადამიანის უფლებების ეროვნულ სტრატეგიაზე. ადამიანის უფლებების სფეროში ქვეყნების ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ქმედითი და მოქნილი ინსტრუმენტია მრავალი ასეთი საკითხის ჯეროვნად მოსაგვარებლად“, - აღნიშნა ლუნია მიატოვიჩმა.

ადამიანის უფლებები პანდემიის დროს - ამ თემის ირგვლივ საბჭოს სხდომის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატისა და სხვა დაინტერესე-

ბული უწყებების წარმომადგენლებმა იმსჯელეს.

ვიდეოკონფერენციის ფორმატში გამართული სხდომა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარია მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

გიორგი გახარიას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ლუნია მიატოვიჩმა და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, კარლ ჰარცელმა.

ლუნია მიატოვიჩმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებების როლის გაძლიერებაზე.

პანდემიას ეძება რომორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი შედეგები, მათ შორის მოიაზრება ეკონომიკური კრიზისი და მისი სოციალური ფაქტორები, რომლებიც ისე უნდა მოგვარდეს, რომ არ გადაიღვოს არსებული კრიზისის ისედაც უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებებზე, - აღნიშნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა.

ინტერპრესნიუსი



რატომ ვერ გარდაქმნა სკოლა მრავალწლოვანს რეფორმების მიხედვით

რეფორმები

მრავალწლიანი საგანმანათლებლო რეფორმების მიხედვით, სკოლა ვერ გადაქცა მოსწავლეთა ზრდა-განვითარების სარბიულად. რატომ ვერ გარდაქმნა სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულმა მრავალწლიანმა რეფორმებმა? რატომ ვერ აქცია იგი მოზარდების ზრდა-განვითარების სარბიულად? ამ კითხვებზე ერთადერთი პასუხი არსებობს: რეფორმამ ვერ შექმნა მოსწავლეების ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობები სასკოლო სისტემაში.

ინსტანციების ზეწოლა და დასჯის მუქარა მასწავლებლებს მასალის „ამონურვის ნების“ ქვეშ ამყოფებს და აიძულებს, ორიენტირებული იყოს არა მოსწავლეების განვითარებაზე, არამედ საკითხების დიდი მოცულობის დაფარვაზე. აი, როგორი სისტემა შექმნილი - მოჩვენებითი და ყალბი საქმიანობების მანარმოებელი; სისტემა, რომელშიც მოსწავლეებზე და მათ განვითარებაზე ზრუნვა, ცოდნის კონსტრუირება პრიორიტეტული არ არის.

წარუმატებელი რეფორმის საფუძვლები

მოსწავლეზე ორიენტირებული პარადიგმის პრინციპების გადასახედოდან თუ გადავალავთ თვალს აქამდე ჩატარებულ რეფორმებს, ადვილად დავინახავთ დაშვებულ შეცდომებს. აქ აღვნიშნავთ რამდენიმეს:

დასჯა-წახალისების მქონე მუშაობა - პიროვნებაზე და მისი შინაგანი ენერჯის ამაღლებაზე ორიენტირებული მიდგომების ნაცვლად, სისტემურ დონეზე ავამოქმედეთ იძულებაზე, გარე ზეწოლაზე, კონტროლსა და განსჯაზე ორიენტირებული ბერკეტები. მოსწავლეზე ორიენტირებული რეფორმის გაცხადებული გზავნილი იყო **„კონსტრუქციული, პოზიტიური გარემოს შექმნა“**, მაგრამ ფარული გზავნილი სხვას ამბობდა: **„ვაკონტროლებ თქვენს შედეგებს და დაგსჯით, თუ ვერ მიაღწევთ იმას, რასაც ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ“**. ამ მიდგომის უკან ადვილად ამოიცნობა მექანიცისტური ხედვა, რომელიც აღვნიშნავს რეფორმის მომხრე სუბიექტად კი არა, რაფორმის „მომხრე“ განხილავს. ამ ხედვას ჰგონია, რომ შესაძლებელია ადამიანთა გარდაქმნისა და განვითარების პროცესების გარეგანი მართვა, გარე ზეწოლებით სასურველი შედეგების მიღება. ეს გულუბრყვილი წარმოდგენები ადამიანს გარედან მართულ ობიექტად რომ განიხილავს, უგულვებელყოფს სუბიექტს მთელი თავისი კომპლექსურობით, უგულვებელყოფს პიროვნებას და მოტივებს, რომელიც მას ამოძრავებს კონკრეტული ქცევების განხორციელებას. რეფორმატორულ გარდაქმნებს ობიექტები კი არა, სუბიექტები ახორციელებენ.

სამშენებლო, დაქუცმაცებული სასწავლო შინაარსები - ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში მხედველობის არიდან დიდიხარა გრძელვადიანი მიზნები, ეს კი მოსწავლის განვითარების გზის დაკარგვასაც ნიშნავს. თვითმიზნად იქცა ერთმანეთთან დაუკავშირებელი, დაქუცმაცებული საკითხთა ურთიერ დარღვეობის ზერელედ, ზედაპირულად დასწავლა, რაც გონებრივი სტრუქტურების განვითარების ნაცვლად, „უთხლებს ბავშვს ტვინსა, უსუსტებს გონებას და უუძღვრებს ჰაზროვნებასა“ — როგორც აღნიშნავდა სქოლასტიკური სწავლების შერეხვეტილი მონინალმდეგე იაკობ გოგებაშვილი. ამ მოსაზრების სიმართლე კონკრეტული მეცნიერების კვლევებმა დაადასტურა — ადამიანის გონება სემანტიკურულად, დაქუცმაცებულად, დაანაწევრებულად ვერ ვითარდება. მას მთლიანობით და კომპლექსური კონტექსტები სჭირდება.

დაქონტატული უნარები - განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე სწავლების, შეფასებისა თუ მართვისთვის გამოიყენება უნიფიცირებული ინსტრუმენტები, რომელიც უგულვებელყოფს კონკრეტული კონტექსტებისა და კონტექსტუალურობის მნიშვნელობას. ასეთ ინსტრუმენტებს წარმოადგენს უნიფიცირებული გამოცდები თუ ტრენინგები; ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციული ნაწილი, რომელიც ყველა სკოლას კონტექსტისგან მონყვეტილად განიხილავს და უნიფიცირებულ მოთხოვნებს უყენებს; ტერმინებითა და საკითხებით გადატვირთული უნიფიცირებული „პროგრამები“ ანუ სახელმძღვანელოები, რომელიც საკლასო ოთახებში დაჩქარებული ტემპებით, ანუ ზედაპირულად ისწავლება. სად ეჩქარებათ? - დირექტორებისა თუ სხვა

ან დეპრესიულ განწყობებს, რომელთა გამოვლინება, ემოციური აშლილობისა თუ დანაშაულებრივი ქმედების სახით, ძალიან ძვირი უჯდება ოჯახებს და, ზოგადად, საზოგადოებას. როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ, რომ აქ ნყდება ამ მოზარდების მომავალიც და ქვეყნის მომავალიც.

მავანი ფიქრობს, რომ მცირე რიცხვანი ელიტის გაზრდა საკმარისია ქვეყნის ასალორძინებლად და გასაძლიერებლად. თითოეული „გაუზარელი“ მოზარდი, როგორც აუთვისებელი რესურსი და არასრულფასოვნების განცდით დაზიანებული პიროვნება, ქვეყნისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგის მომტანია როგორც კულტურული, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. ქვეყნის აღმშენებლობას საღად მოაზროვნე, მოტივირებული და გულანთებული პიროვნებებისგან შემდგარი საზოგადოება სჭირდება. მცირე რიცხვანი ელიტა ვერაფერს გახდება ასეთი საზოგადოების გარეშე.

გონება-განვითარებელი, გაუნათლებელი თაობა ქმნის ინერტულ მასას, რომელიც ნივსს ელოდება, აფერხებს ქვეყნის ალორძინებსა და განვითარების პროცესს. იმ მძიმე შედეგებს შორის, რომელსაც დღეს ვიშკით ფსიქოპედაგოგიკური თვალსაზრისით კონცეპტუალურად გაუმართავი რეფორმების გამო, უნდა დავასახელოთ ნიჰილისტური განწყობებიც, რომელიც განათლების რეფორმის მიმართ ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოებაში. დღეს თითქოს აღარავის სჯერა, რომ შესაძლებელია სასკოლო სისტემის განახლება და სკოლის გარდაქმნა სასკოლო თემისთვის მიმზიდველი სივრცედ, რომელიც თითოეულ მოზარდს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას.

დაბოლოს, კიდევ ერთ საკითხზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება: პოლიტიკოსებისა და რეფორმატორების ერთი ნაწილი ხსნას მენეჯმენტში ხედვას და ფიქრობს, რომ კარგ „მენეჯერს“ შეუძლია განათლების ხარისხის ამაღლება. იყო პერიოდი, როცა ყველა ვამაყობდით იდეალურად გამართული საგანმანათლებლო სისტემით, მაგრამ რა მოგვათქვამს ისე თავზე ამ იდეალურად გამართულმა მენეჯმენტმა?! ცხადია, „მენეჯმენტს“ თავისი განუმეორებელი როლი და ადგილი უჭირავს, მაგრამ ის თუ არ დაეფუძნა კონცეპტუალურად გამართულ საგანმანათლებლო ხედვას, მივიღებთ იმ შედეგებს, რაც გვაქვს - ნლების მანძილზე მილიონობით დახარჯული ლარი და სტატუსიც. ახლაც არიან რეფორმატორები, რომლებიც სამსჯავროზე გამოდიან მთავარი სიტყვით: მენეჯმენტი.

განათლებაში მთავარი სიტყვა ფსიქოპედაგოგიკას, შემდეგ მასზე დაფუძნებული „მენეჯმენტი“. მხოლოდ ფსიქოპედაგოგიკას შეუძლია იმ სასწავლების მოხდენა, რომელსაც მივლის საზოგადოება რეფორმისგან. ჩვენ კი ისე მოვედით აქამდე, რომ განათლების რეფორმამ ჩართული ადამიანების დიდ უმრავლობას არ გვაქვს პასუხი გადამწყვეტი მნიშვნელობის ფსიქოპედაგოგიკური კითხვებზე.

საკმარისია „რატომ?“ კითხვები: რატომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესის შინაგანი მოტივაციაზე დაფუძნება? რატომ საუბრობს განათლების მეცნიერებმა ცოდნის „კონსტრუირებაზე“, ავებაზე? რა კავშირია ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულობას შორის?

საკმარისია „როგორ?“ კითხვები: როგორ უზრუნველყოფთ შინაგანი მოტივაციის გამოწვევას და გაზრდას?

როგორ უნდა შეფუძნოთ ხელი ცოდნის კონსტრუირებას? როგორ შეფუძნოთ ხელი თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალი რეალიზებაში?

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნებისმიერი ინტერვენცია, მექანიზმი, საქმიანობა, რომელიც ამ კითხვებს არ უპასუხებს, საგანმანათლებლო გარდაქმნების საწინააღმდეგოდ იმუშავებს. ამ კითხვებს ვერ უპასუხა საგანმანათლებლო რეფორმამ, რომელსაც მექანიცისტური

„რეფორმატორულ გარდაქმნებს ობიექტები კი არა, სუბიექტები ახორციელებენ“

ხედვა დაეყო საფუძვლად. ამ ხედვის ნაყოფია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შექმნილი ზეწოლის ბერკეტები, რომლებითაც ვცდილობდით ადამიანთა გარდაქმნას და გვერდით იმის ილუზიას, რომ შესაძლებელია ქვეყნის ფორმირება პიროვნების შინაგანი მოტივაციის გარეშე. გარეგანი მოტივაციისა და განსჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგია დეგრადირებული, არაჯანსაღი სასკოლო კლიმატი, რომელიც ყალიბდებოდა ჩვენი მოზარდები. საგანმანათლებლო პროცესების გაძლიერების ნაცვლად, ჩვენს სისტემაში მოხმარებითი რანგის ქცევების გაძლიერებასა და გამრავლებას შევუწყვეთ ხელი - მოხმარებით ქცევით აქტებს კი საგანმანათლებლო ღირებულება არა აქვთ - ისინი განვითარებაზე კი არა, აქტუალური მოთხოვნების (კრედიტის მიღება, ნიშნის მიღება, დირექტორის რისხვის არიდება, გამოცდის ჩაბარება) დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. როგორც კი ეს აქტუალური მოთხოვნა კმაყოფილდება, ქცევითი აქტებიც ღირებულებას კარგავს. ასეთ ვითარებაში განა რა განვითარება შეიძლება იყოს საუბარი? ფორმალურმა, მოჩვენებითმა, უნაყოფო და „ფუტურ“ საქმიანობებმა მოიცივეს სამსწავლელბოები, დირექტორების კაბინეტები, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურა.

პარადიგმული რეფორმა

„ახალი სკოლის მოდელი“ პარადიგმული რეფორმა - იგი მოსწავლეებს, მასწავლებლებს, დირექტორებს „ობიექტებად“ კი არა, რეფორმის „სუბიექტებად“, მთავარ მოქმედ პირებად განიხილავს - სწორედ მათი შინაგანი მოტივაცია უნდა იქცეს სისტემაში გარდაქმნის და მასშტაბური ცვლილებების ნამყნად მამოძრავებელი ძალად. ამიტომ **„ახალი სკოლის მოდელი“**, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პიროვნებაზე და მისი შინაგანი ენერჯის ამაღლებაზე ორიენტირებული, მეცნიერულად გამართულ ფსიქოპედაგოგიკურ ხედვაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ საკლასო ოთახი იქცეს თითოეული მოსწავლისთვის შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალიანი რეალიზების ასპარეზად, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს გონებაში ცოდნის სტრუქტურების განვითარება, რათა ასაზრდოოს და გაახაროს საუკეთესო შესაძლებლობები. მხოლოდ გონებაგანვითარებული, ლალი, ჯანსაღი და შინაგანად მოტივირებული პიროვნებისგან შემდგარი თაობა შეძლებს უკეთესი მომავლის შექმნას. ამიტომ არის **„ახალი სკოლის მოდელი“** გზა უკეთესი მომავლისაკენ.

თამარ ჯაყელი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და სასკოლო განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტი.

პ.ს საინტერესო სტატიაა, თუმცა ძირითადი არც კითხვაა დასმული და არც პასუხია გაცემული...სამწუხაროდ კონტექსტიდანაც არ იკითხება რაიმე მნიშვნება... როგორი პიროვნება გვინდა ალფარდოთ ისევ ბუნდოვანია... გვინდა თუ არა საერთოდ მცირე ერისთვის აუცილებელი იდენტობის ჩამოყალიბება და განვითარება და თუ გვინდა, სადაა ფასეულობებისა და ღირებულებების სისტემა? იმიტომ, არ გვაქვს განათლების ჩამოყალიბებული, მოქმედი და სასარგებლო კონცეფცია, რომ ყურით მოვართვეთ ხან ევროპულს, ხან ამერიკულს. დროა გავიზაროთ, რომ არც ერთი არ მუშაობს. საჭიროა ეროვნული!!!

მომზადდა ბათუმა ბინაშვილმა

მიტები კურორტებზე

ჩვენთან მშობლებს ბავშვების კურორტებზე დასვენებისგან გადაჭარბებული მოლოდინები აქვთ. კერძოდ, ბევრს გონია, რომ რომელიღაც კონკრეტული კურორტის ჰაერი აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ზოგსაც მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს სხვადასხვა ჰაერის მონაცვლეობა, მაგალითად, ზღვის და მთის. ზოგსაც წინვოვანი მცენარეების მიერ მოხდენილი სასწაულები სჯერა. ამ ყველაფერს სამეცნიერო მტკიცებულებები არ გააჩნია და ისტორიულად, თაობებზე გადაცემული მითებია, როგორცაა, მაგალითად, ბრონქული წვენი რომ „სისხლისთვის კარგია“...

ეს მითები, თავისთავად, არაფერს აშავებს და თუ მშობელს ამის სჯერა, ბოლოს და ბოლოს ამ „ჰაერის გამოცვლაში“ დიდი სარგებელი თუ არა, მავნებლობაც არაფერია. პრობლემა უბრალოდ ის, რომ ჯერ ერთი, ხშირად ოჯახები უკანასკნელი სახსრების მობილიზაციას აკეთებენ ზოგიერთ ამ კურორტზე ბავშვის წასაყვანად და ეს თანხები უფრო სასარგებლოდ შეუძლიათ გამოიყენონ, თუმცა, ჩემი, როგორც ინფექციონისტის თემა ეს არ არის და მე უფრო სხვა მონაზრებით წამოვიწყო ეს საკითხი.

საქმე იმაშია, რომ ამ არასწორი მოლოდინების გამო, რომ ბავშვის ჯანმრთელობისთვის რაღაც ძალიან კარგს ვაკეთებთ, ხშირად ინფექციური დაავადებების რისკს ვუქმნით. რამდენს ვაქვთ ეს გამოცდილება, რომ კურორტზე წაყვანილი ბავშვი უკან დიარეით, ლებინებით, სიცხით წამოგიყვანიათ. არადა, ზოგიერთებს არაჩვეულებრივი პირობები აქვთ სოფელში, სადაც შეიძლება შეიძინოთ მთელი წლის ნახვის ნატვრით დატანჯული ბებო იცდის, რომელიც სუფთა, ნატურალურ კვებას უზრუნველყოფს ბავშვისთვის სოფელში, სადაც ერთად ბევრი ადამიანი არ არის თავმოყრილი და შესაბამისად, ინფექციური დაავადებების რისკიც მნიშვნელოვნად დაბალია. სოფელში, სადაც მანქანების გამოწვეული თითქმის არ არის, უამრავი მცენარე

რეგია და ჰაერის დაბინძურება დაბალი. ჯანმრთელობისთვის კი სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და არა გინდა თუ არა ის ამოჩემებული კურორტები, სადაც, ვითომდა რაღაც განსაკუთრებული ჰაერია. ეს ხომ არავითარ სამეცნიერო მტკიცებულებებს არ ემყარება, ისევე როგორც ის, რომ ბავშვს „სხვადასხვა ჰაერი უნდა ვუცვალო“.

ზოგიერთ კურორტზე იმდენი ხალხი და მანქანებია, რომ გამოწვეული შეიძლება ქალაქებზე ნაკლები არც იყოს. აღარაფერს ვამბობ ინფექციურ დაავადებებზე, რაც უკვე ვახსენე.

სამსუხაროდ, ჩვენს კურორტებზე ჰიგიენური პირობები ხშირად არც თუ ისე სახარბიელოა. მაგალითად, რესტორნებსა და სასტუმროებში ხშირად არ არის ჭურჭლის რეცხვის ავტომატური სისტემა მაღალ ტემპურატურაზე და ჭურჭელი ხშირად ერთად ჩაყრილი, ხელით ირეცხება, ზოგჯერ სრულიად ზედაპირულად, რაც სისუფთავის და ინფექციების პრევენციის გარანტიას საერთოდ არ იძლევა. ხშირად საუკეთესო პროდუქტების სწორად შენახვის პრაქტიკაც, სწორედ ეს ყველაფერი ქმნის ბავშვების (და ხშირად არა მარტო ბავშვების) ასე მასიურად ინფიცირების რისკებს.

რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ ჩვენი შვილებისთვის საინტერესო ზაფხული უზრუნველვყოფთ, მაგალითად ზღვაზე. ეს ნამდვილად არის ბავშვის კურორტზე წაყვანის არგუმენტი (თუნდაც ჩამოთვლილი რისკების გათვალისწინებით), მაგრამ მხოლოდ „ჰაერის გამოცვლა“, რაც, კიდევ ვიმეორებ, არაფერია ეს არის გამყარებული, ჩემი აზრით, ხალხმრავალ კურორტებზე წასვლის (და დღეის კონტექსტში კორონავირუსის გადაცემის საფრთხის შექმნის) საფუძველი არ უნდა გახდეს.

ჩვენთან მშობლებს ბავშვების კურორტებზე დასვენებისგან გადაჭარბებული მოლოდინები აქვთ. კერძოდ, ბევრს გონია, რომ რომელიღაც კონკრეტული კურორტის ჰაერი აუცილებელია



ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ზოგსაც მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს სხვადასხვა ჰაერის მონაცვლეობა, მაგალითად, ზღვის და მთის. ზოგსაც წინვოვანი მცენარეების მიერ მოხდენილი სასწაულების სჯერა. ამ ყველაფერს სამეცნიერო მტკიცებულებები არ გააჩნია და ისტორიულად, თაობებზე გადაცემული მითებია, როგორცაა, მაგალითად, ბრონქული წვენი რომ „სისხლისთვის კარგია“...

ეს მითები, თავისთავად, არაფერს აშავებს და თუ მშობელს ამის სჯერა, ბოლოს და ბოლოს ამ „ჰაერის გამოცვლაში“ დიდი სარგებელი თუ არა, მავნებლობაც არაფერია. პრობლემა უბრალოდ ის, რომ ჯერ ერთი, ხშირად ოჯახები უკანასკნელი სახსრების მობილიზაციას აკეთებენ ზოგიერთ ამ კურორტზე ბავშვის წასაყვანად და ეს თანხები უფრო სასარგებლოდ შეუძლიათ გამოიყენონ, თუმცა, ჩემი, როგორც ინფექციონისტის თემა ეს არ არის და მე უფრო სხვა მონაზრებით წამოვიწყო ეს საკითხი.

საქმე იმაშია, რომ ამ არასწორი მოლოდინების გამო, რომ ბავშვის ჯანმრთელობისთვის რაღაც ძალიან კარგს ვაკეთებთ, ხშირად ინფექციური დაავადებების რისკს ვუქმნით. რამდენს ვაქვთ ეს გამოცდილება, რომ კურორტზე

წაყვანილი ბავშვი უკან დიარეით, ლებინებით, სიცხით წამოგიყვანიათ. არადა, ზოგიერთებს არაჩვეულებრივი პირობები აქვთ სოფელში, სადაც შეიძლება შეიძინოთ მთელი წლის ნახვის ნატვრით დატანჯული ბებო იცდის, რომელიც სუფთა, ნატურალურ კვებას უზრუნველყოფს ბავშვისთვის სოფელში, სადაც ერთად ბევრი ადამიანი არ არის თავმოყრილი და შესაბამისად, ინფექციური დაავადებების რისკიც მნიშვნელოვნად დაბალია. სოფელში, სადაც მანქანების გამოწვეული თითქმის არ არის, უამრავი მცენარეებია და ჰაერის დაბინძურება დაბალი. ჯანმრთელობისთვის კი სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და არა გინდა თუ არა ის ამოჩემებული კურორტები, სადაც, ვითომდა რაღაც განსაკუთრებული ჰაერია. ეს ხომ არავითარ სამეცნიერო მტკიცებულებებს არ ემყარება, ისევე როგორც ის, რომ ბავშვს „სხვადასხვა ჰაერი უნდა ვუცვალო“.

ზოგიერთ კურორტზე იმდენი ხალხი და მანქანებია, რომ გამოწვეული შეიძლება ქალაქებზე ნაკლები არც იყოს. აღარაფერს ვამბობ ინფექციურ დაავადებებზე, რაც უკვე ვახსენე.

მაია გუგუშვილი
ექიმი-ინფექციონისტი

სავალუტო ბაზარზე კურსის მოკლევადიანი მერყეობის მიზეზები

ჟურნალისტები (და არა მარტო) ხშირად მეკითხებიან - რა ინვესტორის მოკლევადიან რყევებს? ეს მნიშვნელოვანი კითხვაა და ვეცდები, ქვემოთ ეს პროცესი შეძლებისდაგვარად დეტალურად ავხსნა.

ვალუტის კურსი, ანუ ერთი ვალუტის მეორე ვალუტით გამოსახული ფასი, სავალუტო ბაზარზე ყალიბდება, სადაც ვალუტას ზოგი ყიდის, ზოგიც კი ყიდულობს. არსებობს მოსაზრება, რომ ვალუტის კურსის ფორმირება ბანკების მიერ ხდება, რადგანაც სწორედ ისინი ყიდიან და ყიდულობენ ვალუტას, თუმცა, ეს ბოლომდე ასე არ არის. ბანკები ვალუტას თავისი საჭიროებებისთვისაც (ვალდებულებების გასტუმრება, სესხების გაცემა, სხვა საოპერაციო საჭიროებები) ყიდულობენ/ყიდიან, მაგრამ ამას, უმეტესწილად, კლიენტების დავალებით აკეთებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალუტაზე მოთხოვნა/მიწოდება ბაზრის მონაწილეთა მიერ იქმნება. ბაზრის მონაწილეები კი ათასობით კომპანია და ფიზიკური პირები - ჩვეულებრივი მოქალაქეებიც - არიან. ბუნებრივია, რომ მონაწილეთა სიმრავლის გათვალისწინებით, შეუძლებელია, დროის კონკრეტულ მომენტში ბაზარზე ყიდვის და გაყიდვის მსურველთა ჯამური თანხები ყოველთვის ერთმანეთს დაემთხვეს და ვალუტის მინოდება მოთხოვნა ყოველთვის დაბალანსოს. რეალურ ცხოვრებაში ქაბობს ხან ვალუტის მიწოდება, ხანაც - მოთხოვნა, და სწორედ ეს დისბალანსი ინვესტორის ცვლილებას იწვევს, რომ ახალ კურსზე მოთხოვნა/მიწოდება კვლავ ერთმანეთს გაუტოლდეს. კურსის კორექტირების შემოაღწევაში პროცესი მყისიერი არაა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კურსი ერთი ნიშნულიდან მეორე ნიშნულსკენ წრფივად არასოდეს მოძრაობს. თავისუფალი ბაზრის პირობებში, გაუფასურების ეპიზოდში კურსი ჯერ ზედმეტად უფასურდება, შემდეგ ზედმეტად მყარდება და ა.შ., ხანამ ახალ ნიშნულს არ მიაღწევს. კურსის ასეთ ტრაექტორიას თავისუფალი ბაზრის ქცევა განაპირობებს და აი, როგორ:

დავუშვათ, ვალუტაზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. ამ დროს კურსი გაუფასურებას იწყებს. ის, ვისაც ამ დროს ლარი სჭირდება, ვალუტის გაყიდვისაგან თავს იკავებს, რადგანაც უკეთეს ფასს ელოდება და, შედეგად, ვალუტის მიწოდება მცირდება. ის კი, ვისაც ვალუტა საყიდელი აქვს, ცდილობს ვალუტა რაც შეიძლება სწრაფად იყიდოს, რათა მომავალში კიდევ უფრო მეტის გადახდა არ მოუწიოს და, შედეგად, ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება. როგორც ხედავთ, კურსის კორექტირების საწყის ეტაპზე, დისბალანსი მოთხოვნას და მიწოდებას შორის შემცირების ნაცვლად იზრდება, რაც კურსს კიდევ უფრო გაუფასურებს, და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ, რაღაც მომენტში, მიწოდების მხარე ჩათვლის, რომ ლარი მეტად აღარ გაუფასურდება. ამ დროს ის, ვისაც ლარი სჭირდება, ვალუტის გაყიდვას იწყებს, ანუ ვალუტის მიწოდება იზრდება. შედეგად, ლარი გამყარებას იწყებს და ვითარებაც საპირისპიროდ იცვლება. ამავე დროს ის, ვისაც ვალუტა აქვს საყიდელი, თავს იკავებს და ელოდება იმ მომენტს, როდესაც ლარი კიდევ უფრო გამყარდება, ანუ მოთხოვნა მცირდება. მიწოდების ზრდა და მოთხოვნის კლება ლარის კიდევ უფრო გამყარებას იწვევს. რაღაც მომენტში უკვე მოთხოვნის მხარე ჩათვლის, რომ ლარი ზედმეტად გაძვირდა, ვალუტის გაყიდვას შეწყვეტს და ამ მომენტში გამყარება ჩერდება. ეს პროცესი, მართალია კლებადი ამპლიტუდით, მაგრამ ახალი წონასწორული კურსის მიღწევამდე, შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს. თანდაართულ დიაგრამებში სწორედ ეს პროცესია ასახული, როგორც გაუფასურების, ისე გამყარების შემთხვევაში.

აღწერილი პროცესი ბუნებრივი მექანიზმაა, რომელიც ბაზარზე წონასწორობას აღადგენს და მოქმედებს ყველგან, სადაც თავისუფალი ბაზარი და მცურავი კურსია. ეს პროცესი მუდმივად ხდება და მას ის თავისებურება ახასიათებს, რომ რაც უფრო განვითარებულია ბაზარი და მრავალია მონაწილე, მით უფრო იზრდება ამ პროცესის სისშირე, თუმცა, მცირდება ამპლიტუდა. უფრო ნაკლებად განვითარებულ და მეჩხერ ბაზარს კი, უფრო იშვიათი, მაგრამ უფრო მაღალი ამპლიტუდით მერყევი კურსი ახასიათებს.

კოპა გვინიტაძე



ქართულმა ღვინოებმა საერთაშორისო კონკურსში ოქროს და ვერცხლის მედალები დაიმსახურეს

პოლონეთში გამართულ ვარდისფერი ღვინოების საერთაშორისო კონკურსში (International Ros Championship 2020) ქართულმა ღვინოებმა ოქროს და ვერცხლის მედალები დაიმსახურეს.

ოქროს მედალები მიიღეს: იბერიელი, „ზურაბ თოფურიძე ჩხავერი (გურია) - 2018“ და მარანი „დიმნა“ (იმერეთი) - „ქელვაი 2017“; ღვინომ „ზურაბ თოფურიძე ჩხავერი 2018“ ასევე დაიმსახურა საუკეთესო ღვინოების სპეციალური ჯილდო.

ვერცხლის მედალები მოიპოვეს: თელავის ღვინის მარანი, „ცქრიალა როზე (კახეთი) - 2019“, თელავის ღვინის მარანი, „საფერავი როზე (კახეთი) - 2019“ და „ლაბატი ვაინისი“, „კიდევ ერთი პეტ ნატი“ (ქართლი) - 2016“.

უიურის ღვინის მაგისტრი ელიზაბეტ გაბაი (Elizabeth Gabay) ხელმძღვანელობდა, ხოლო მის შემადგენლობაში მსოფლიოს 7 ქვეყნის 12 საუკეთესო ქსაურტი შედიოდა. სულ კონკურსში 28 ქვეყნის 220 ღვინის ნიმუში მონაწილეობდა. კონკურსზე ქართული ღვინოები, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორმა პოლონურმა ორგანიზაცია „Malinova“-მ წარადგინა.

ქართული ღვინის წარმატება მსგავს საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსში მიანიშნებს მის მაღალ ხარისხზე და კიდევ უფრო ზრდის ქართული ღვინის ცნობადობას მსოფლიოს მასშტაბით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Covid-19-ის ვირუსის მსოფლიო პანდემიის ფონზე, რომელმაც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მსგავსად, საქართველოს ღვინის ინდუსტრიაც დაზარალა.

გვერდი მოამზადა JSC სტარაპილი

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ ნინო შუბითიძეს, მისი მინდა შუბითიძის გარდაცვალების გამო.
ღებუ: ზაირა და ლაურა; ძმები: თამაზი და ზაური ტოკლიკიშვილები ოჯახებით ოუნყებიან თამარ ტოკლიკიშვილი გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ მის შვილებს დავით და მარინა ტოკლიკიშვილებს. დაიქრძალა 4 ივლისს, ქ.თბილისში.
მეზობლები: ნოდარ გიგოშვილი, გივი ლომიძე, ნელი ლეონაშვილი, გოგი სუხნაშვილი, ნაზი მოსაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი, სამძიმარს უცხადებენ ნათელა და სოსო გოგაშვილებს შვილის ვასილი გოგაშვილის გარდაცვალების გამო.
მეზობლები: ვემალ კოტაშვილი, ომარ აღადაშვილი, გაა გონაშვილი, გენადი ნასრაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, დათო რობიკაშვილი, თამაზ ჯიბლაშვილი, მზია ნატროშვილი, მარინე კაკალაშვილი, გია ჯერვალიძე, გია პოპიაშვილი, გიორგი გონაშვილი, ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ ნათელა და სოსოს შვილის, მზია გოგაშვილს- მუელის ნოდარ და ნინოს ძმის, ნათია და სოსოს ბიძის, გიგის პაპის ვასილი გოგაშვილის გარდაცვალების გამო

„არაფერი, მხოლოდ ტირილში მივხვდები...“

ამერიკელმა მკვლევარებმა 4-დან 8 წლამდე ბავშვებს ჰკითხეს „რა არის სიყვარული?“ - ამ მცირე შეკითხვა-კონკურსს ერთდროს მიზანი ჰქონდა: გამოარჩიოთ ყველაზე მზრუნველი ბავშვი. ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, პასუხები ასე გამოიყურება:

4 წლის ერი: „სიყვარულია, თუ ძალიან დალილი ილიმები.“

4 წლის მირიანი: „სიყვარულია, როცა შენი ლეკვი სახეს გილოკავს მაშინაც კი, თუ მთელი დღით შინ მარტო დატოვე.“

4 წლის ბილი: „როცა ვინმეს უყვარხარ, შენს სახელს განსაკუთრებულად ამბობს.“

6 წლის რეპაპ: „როცა ჩემი ბებო ართრიტით დაავადდა, ვეღარ იხრებოდა და ვეღარც ფეხის ფრჩხილებზე ისვამდა ლაქს და ყოველთვის ჩემი ბაბუ უსვამდა, მაშინაც კი, როცა თვითონაც დაუავადდა ხელები ართრიტით. ეს არის სიყვარული.“

6 წლის პრინსი: „სიყვარულია, როცა შენი შემწვარი კარტოფილის უმეტეს ნაწილს ვინმეს აძლევ და სამაგიეროდ არაფერს თხოვ.“

6 წლის მარკი: „სიყვარულია, როცა მამა დედას აბრაზებს და ის არ აიმრიზება.“

7 წლის ნომლი: „სიყვარულია, როცა ვინმეს ეუბნები, რომ მისი ტანსაცმელი მოგნონს და ის ყოველდღე ერთნაირად იცვამს, რომ გაგახაროს“

7 წლის კირანი: „როცა ვინმე გიყვარს, ნამნამები მუდამ მალლა მიფრინავენ და თვალებიდან ვარსკვლავები გცვივს.“

7 წლის დენი: „სიყვარულია, როცა დედა ყავას უმზადებს მამას და მიტანამდე მოსვამს, რათა დარწმუნდეს, გემრიელია თუ არა.“

8 წლის ჯენიკა: „თუ არ გიყვარს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვა, მიყვარსო და თუ გიყვარს, ეს გაუთავებლად უნდა იმეორო, თორემ ადამიანებს ავიწყდებათ სიყვარული.“

ეს - რაც შეეხებოდა ამ კითხვაზე პასუხებს, კონკურსში კი გაიმარჯვა 4 წლის ბავშვმა. მის მოხუც მეზობელს გარდაეცვალა მეუღლე. დაინახა რა, კაცი ტირისო, ბიჭუნა შევიდა მის ეზოში და კალთაში ჩაუჯდა. ასე იჯდა დიდხანს. როცა დედამ ჰკითხა, რა უთხარი ჩვენს მეზობელსო?

ბიჭუნამ მიუგო - „არაფერი, მხოლოდ ტირილში მივხვდები...“



ყურადღება!

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2020-2021 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

სწავლების ვადა 2 წელი.

- * მედიცინის საქმე
- * სამედიცინო საქმე
- * ფარმაცია
- * სამართალმცოდნეობა
- * ფინანსები და ეკონომიკა
- * გეოგრაფიის მენეჯმენტი
- * ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
- * ორთოპედიული სტომატოლოგია
- * საბავშვო ბაღის აღზრდელი მასწავლებელი (ძიძა)

გაიცემა ორნომერიანი დიპლომი მუშაობის უფლებით.

სწავლების ვადა 1 წელი

- * ექთნის თანაშემწე

* მოლარე-ოპერატორი

* გულალტერი

* სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი

გაიცემა ორნომერიანი სერთიფიკატი.

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

საბუთების მიღება ინარმოებს 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოდგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

დანვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოხდინდეთ კოლექში შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 40 (არქივის შენობა II სართული).

599 74 73 98, 555 20 04 35,

593 96 68 33, 574 20 20 92

5 პროდუქტი, რომელიც ივნისში გაიყვდა



გინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წლის ივნისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.2 პროცენტით განისაზღვრა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ 5 პროდუქტს, რომელიც 2020 წლის ივნისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიყვდა:

- სახვი - 29,37%
- კარტოფილი - 11,12%
- სტაფილო - 8,65%
- კომპოსტო - 6,79%
- წინააპ - 0,08%

2020 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -1.4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.1 პროცენტი შეადგინა.

იყიდება!

გურამიშვილის გამზირზე, სანზონის დასაწყისში იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა 8/8. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით: ტელეფონი: 599 85 58 32

შურნალი „სორნაბუჯი“ 5 წლისაა

„ჩვენ, ზოტები, მზიდან ვეშუებით - და ვსვამთ ცეცხლიან ახარფუებით მზის სადღგომელოს“.

მზიანი საქართველოს მზიან რაიონში ლიტერატურული თვალსაზრისით წლების განმავლობაში არ არსებობდა გაზეთი ან ჟურნალი, რომელიც თანამედროვე

შემოქმედდა ასპარეზი გახდებოდა. მეხუთე წელია, თქვენ ერთგულად ემსახურებით ამ საქმეს. გილოცავთ! ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება დედოფლისწყაროში თქვენი დამსახურებაა. ბევრ ახალბედა პოეტსა თუ მწერალს მიეცა საშუალება, მათ შემოქმედებას

ფართო საზოგადოება თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან გაცნობოდა. ბევრი მათგანის პროზა თუ პოეზია შეიყვარა მკითხველმა. გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მრავალი წარმატებული წელი ალგენიშნოთ!

სიყვარულით, გაზეთი „შირაქის“ რედაქცია

ამინდი

ორშაბათი 13.07 დღე ღამე 28° 23°	სამშაბათი 14.07 დღე ღამე 31° 23°	ოთხშაბათი 15.07 დღე ღამე 30° 24°	ხუთშაბათი 16.07 დღე ღამე 26° 20°	პარასკევი 17.07 დღე ღამე 25° 23°	შაბათი 18.07 დღე ღამე 25° 20°	კვირა 19.07 დღე ღამე 27° 25°
--	---	---	---	---	--	---------------------------------------

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.